

GRASS
REFORMANDA



საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება -
მოქმედება უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, თუ
დამოუკიდებლად?

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: ნათია ღვინჯილია

რედაქტორი: პაატა გაფრინდაშვილი

პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. ავტორთა მიერ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

შესავალი

2017 წლის 24 ნოემბერს ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მე-5 სამიტი გაიმართა, სადაც მხარეებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის შემდეგი განვითარების მიზნები და გზები განისაზღვრა. ბრიუსელის სამიტის დაწყებამდე არსებობდა მოლოდინები, რომ სამიტი ასოცირებულ ქვეყნებს (საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას) თანამშრომლობის ახალ ფორმატს შესთავაზებდა, რის შესახებაც ევროპარლამენტის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ შეთავაზებულ რეკომენდაციაშიც გაკეთდა აქცენტი.¹ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან სამიტის დღეს გაკეთებული განცხადებების მიხედვით, სამიტი არა გაფართოების, არამედ თანამშრომლობის გაღრმავების საშუალებას წარმოადგენდა.² სამიტის შედეგებიც, სწორედ ამ განცხადებების პრაქტიკულ გამოვლინებებში აისახა და რაიმე ხელჩასაჭიდი თანამშრომლობის ახალი მიმართულების, თუ ფორმატის შესახებ არ შემოუთავაზებია - სამიტმა პასუხი კითხვაზე, თუ როგორ განვითარდება ასოცირებული ქვეყნების მომავალი ურთიერთობები ევროკავშირთან და უნდა ველოდოთ თუ არა რაიმე განსაკუთრებულ სიახლეებს ამ მიმართულებით პასუხგაუცემელი დატოვა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებულმა ქვეყნებმა, რომლებმაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ყველაზე მეტს მიაღწიეს ევროკავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი ღიად გამოთქვეს. აღმოსავლეთ პარტნიორობის 2017 წლის სამიტის დეკლარაციაში ხაზგასმულია ასოცირებული ქვეყნების ევროპული მისწრაფებები, ასევე დიფერენცირებული მიდგომები, თუმცა „ევროპული პერსპექტივა“, რომელიც წევრობის „დაპირება“ იქნებოდა, არ ასახულა.³ ამასთან, ამ ქვეყნების შიდა მდგომარეობა და საჭიროებები მნიშვნელოვნად განსხვავდება და შესაბამისად, სამივე ქვეყანასთან მიმართებით ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება შეიძლება საკმაოდ რთული აღმოჩნდეს. თუმცა, ბუნებრივია, საქართველო ევროკავშირთან ისეთი ურთიერთობის, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი (თანამშრომლობა

¹ European Parliament recommendation of 15 November 2017 to the Council, the Commission and the EEAS on the Eastern Partnership, in the run-up to the November 2017 Summit (2017/2130(INI)), ხელმისაწვდომია:

<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA-2017-0440+0+DOC+XML+V0//EN&language=EN> (მოძიებულია 15.11.2017)

² ევროკომისიის პრეზიდენტი - დღეს არ არის გაფართოებისა და ახალი წევრების მიღების სამიტი, ჩვენ ვაღრმავებთ ურთიერთობებს პარტნიორებთან, ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/evrokomiis-prezidenti-es-ar-aris-gafartoebisa-da-akhali-wevrebis-mighebis-samiti-chven-vaghrmavebt-urtiobebis-partniorebtan/> (მოძიებულია 24.11.2017)

³ Joint Declaration of the Eastern Partnership Summit (Brussels, 24 November 2017), ხელმისაწვდომია: <http://www.consilium.europa.eu/media/31758/final-statement-st14821en17.pdf> (მოძიებულია: 11.11.2017)

უკრაინასთან და მოლდოვასთან) მექანიზმების შემუშავებას უნდა შეეცადოს, რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობის არსებულ ჩარჩოებს გასცდება.

აღნიშნული კვლევა შეეცდება განიხილოს, თუ რომელი გზა უფრო მიზანშეწონილი და იმავდროულად, რეალისტური შეიძლება იყოს საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში „ევროპული პერსპექტივისა“ და ინდივიდუალური განაცხადის გაკეთების თვალსაზრისით.

მეთოდოლოგია

კვლევა ძირითადად ეყრდნობა თვისობრივ მეთოდს, სადაც მოცემულია მეცნიერებისა და მკვლევარების ნაშრომები, აკადემიური და რეფერირებადი სტატიები, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტების მოსაზრებები, ჟურნალისტების სტატიები, იმ თემასთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნული ნაშრომის კვლევის სფეროს მოიცავს. დოკუმენტის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია სამაგიდე კვლევის ფარგლებში დაგროვდა და ეფუძნება ლიტერატურის ფართო მიმოხილვას. კვლევაში გამოყენებულია დისკურსის ანალიზი, რაც ტექსტობრივი მასალის დეტალურ განხილვას გულისხმობს.

ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურა

ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის გაკეთება, შეიძლება, როგორც „ევროპული პერსპექტივის“ აღიარების შემდეგ, ასევე მის გარეშე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს, როგორც ასოცირების შეთანხმებით აღიარებულ (აღმოსავლეთ) ევროპულ სახელმწიფოს⁴, ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლზე დაყრდნობით, ნებისმიერ დროს შეუძლია გააკეთოს განაცხადი გაწევრიანების შესახებ.

ევროკავშირში გაწევრიანება მისი წევრი ქვეყნებისათვის განსხვავებული დინამიკითა და ტემპებით ხორციელდებოდა. ევროკავშირის გაფართოების საფუძველს ევროკავშირის ხელშეკრულების (Treaty on European Union) 49-ე მუხლი წარმოადგენს⁵, რომლის მიხედვით, ევროკავშირის წევრი შესაძლოა “ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო” გახდეს, თუ ის, ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ისეთ პრინციპებს აკმაყოფილებს, როგორებიცაა “ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება,

⁴ ევროკავშირის და საქართველოსა შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>

⁵ Joining the EU - the accession process, Eur-Lex

ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A12012M%2FTXT> (მოძიებულია: 10.11.2017)

დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობების უფლებების პატივისცემა.”⁶

ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმები უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი 1993 წლის კოპენჰაგენის ევროპული საბჭოს დასკვნაში.⁷ დოკუმენტის თანახმად, გასაწევრიანებლად ქვეყანამ სამი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს⁸:

პოლიტიკური კრიტერიუმი: სტაბილური ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატias, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და უმცირესობების დაცვასა და პატივისცემას;

ეკონომიკური კრიტერიუმი: საბაზრო ეკონომიკა და ევროკავშირში არსებულ საბაზრო კონკურენციასთან გამკლავების უნარი;

ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური შესაძლებლობა ეფექტურად განახორციელოს ევროკავშირის წესებისა და კანონების ერთობლიობის (acquis communautaire) იმპლემენტაცია და წევრობის ვალდებულებების აღების უნარიანობა.

ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება.⁹ პირველ ყოვლისა, გაწევრიანების მსურველი ქვეყანა განაცხადს უგზავნის ევროპის კავშირის საბჭოს (Council of the European Union), რომელიც ევროკომისიის (European Commission) თვალსაზრისზე დაყრდნობით, ერთხმად წყვეტს მიენიჭოს თუ არა განმცხადებელს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. შეტყობინება განაცხადის შეტანის თაობაზე ეგზავნება როგორც ევროპარლამენტს, ასევე, წევრი ქვეყნების პარლამენტებსაც. დასკვნის შემუშავებისას ევროკომისია სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, გაწევრიანების მსურველი ქვეყნის მიერ შევსებულ კითხვარსაც (Questionnaire) ყრდნობა.

კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ იწყება მოლაპარაკებების პროცესი (Accession Negotiations), რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ე. წ. სქრინინგს (Screening) და თავად მოლაპარაკებებს. საბოლოო გაწევრიანებამდე კანდიდატმა ქვეყანამ ევროკავშირის კანონმდებლობის საკუთარ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია უნდა მოახდინოს.

⁶ Article 2, CONSOLIDATED VERSION OF THE TREATY ON EUROPEAN UNION

ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:12012M002> (მოძიებულია: 10.11.2017)

⁷ EU Accession procedure, Library of the European Parliament 26/03/2013

ხელმისაწვდომია: [http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130437/LDM_BRI\(2013\)130437_REV3_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130437/LDM_BRI(2013)130437_REV3_EN.pdf) (მოძიებულია: 10.11.2017)

⁸ European Commission - Enlargement - Accession criteria ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/glossary/terms/accession-criteria_en (მოძიებულია: 10.11.2017)

⁹ Steps towards joining, European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations, EU Commission,


ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/steps-towards-joining_en (მოძიებულია: 10.11.2017)

მოლაპარაკებები 35 თავის (Acquis Communautaire) მიხედვით იმართება და თითოეული თავი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა დასრულებულად, თუ ევროკავშირის საბჭო დადებით დასკვნას დადებს (კომისიის რეკომენდაციაზე დაყრდნობით). მოლაპარაკებები სრულდება ყველა თავის დახურვის შემდეგ, როცა პროცესის დასრულებას ევროკავშირის საბჭო დაადასტურებს და პარლამენტიც დაეთანხმება. ბოლო ეტაპი გაწევრიანების ხელშეკრულების გაფორმებაა (Accession Treaty).¹⁰

¹⁰ EU Accession procedure, Library of the European Parliament 26/03/2013

ხელმისაწვდომია: [http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130437/LDM_BRI\(2013\)130437_REV3_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130437/LDM_BRI(2013)130437_REV3_EN.pdf) (მოძიებულია: 10.11.2017)

ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურა¹¹



¹¹EU ENLARGEMENT FACTSHEET, EU Commission,

ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/publication/factsheet_en.pdf
(მოძიებულია: 10.11.2017)

ევროპული პერსპექტივა და საქართველო

ევროპული პერსპექტივა (European Perspective), რომელიც დღეს ევროკავშირის წევრობის დაპირებასთან გაიგივებულ ტერმინად იქცა, პირველად 2002 წლის კოპენჰაგენის ევროსაბჭოს შეხვედრის დასკვნაში დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მიმართ გამოიყენეს.¹² გაწევრიანების დაპირება ბალკანურმა ქვეყნებმა სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებებითაც მიიღეს, სადაც აღინიშნა, რომ კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პოტენციური კანდიდატები ევროკავშირის წევრები გახდებოდნენ.¹³

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს განსაზღვრული წესები, რომლის მიხედვითაც ქვეყანას “ევროპული პერსპექტივა” ეძლევა, ტერმინს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. ეს არის პოლიტიკური დაპირება, რომ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქვეყანა მომავალში ევროკავშირის წევრი გახდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ევროპული პერსპექტივის“ „მინიჭება“ არ ნიშნავს წევრობის პოტენციური კანდიდატის ან კანდიდატის სტატუსის ავტომატურად მიღებას.¹⁴

ბალკანური ქვეყნებისგან განსხვავებით, წევრობის დაპირება არ არის ასახული მოლდოვის, უკრაინის და საქართველოს ასოცირების შეთანხმებებში. შეთანხმება საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნად აღიარებს და მის ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ არჩევანს ცნობს.¹⁵

პირველად, საქართველოსთან მიმართებით, “ევროპული პერსპექტივა” 2011 წელს, ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკებების შესახებ ევროპარლამენტის რეზოლუციაში იქნა ნახსენები, რომლის მიხედვითაც, ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მიმდინარე მოლაპარაკებები “ევროპულ პერსპექტივას” ემყარებოდა და

¹² Conclusions of the Presidency, European Council in Copenhagen, 2002. ხელმისაწვდომია: http://www.consilium.europa.eu/en/european-council/conclusions/pdf-1993-2003/PRESIDENCY-CONCLUSIONS_COPENHAGEN-EUROPEAN-COUNCIL_-12-AND-13-DECEMBER-2002/ (მოძიებულია: 11.11.2017)

¹³ Stabilisation and Association Agreement, European Commission - Enlargement - Stabilisation and Association Agreement ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/glossary/terms/saa_en (მოძიებულია: 11.11.2017)

¹⁴ თორნიკე ზურაბაშვილი, პაატა გაფრინდაშვილი, საქართველოს გზა ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ, თბილისი, 2017. ხელმისაწვდომია: <http://grass.org.ge/wp-content/uploads/2017/05/Road-Map-to-the-EU-Membership.-16.05.17.pdf> მოძიებულია (მოძიებულია: 11.11.2017)

¹⁵ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება. ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetaxmebis-shesaxeb/associationagreement1> (მოძიებულია: 11.11.2017)

რეფორმების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტს წარმოადგენდა.¹⁶ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ პერსპექტივას ქვეყანას ევროსაბჭო „ანიჭებს“ და პარლამენტის რეზოლუციას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

ევროპარლამენტის რამდენიმე რეზოლუციაში მაგალითად 2014 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის¹⁷ და 2016 წლის მოლდოვას, უკრაინისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმებების რეზოლუციებში¹⁸ ნათქვამია, რომ ასოცირების შეთანხმებები ევროკავშირთან ურთიერთობაში “საბოლოო მიზანს არ წარმოადგენს” და რომ ასოცირებულ ქვეყნებს შეუძლიათ გახდნენ ევროკავშირის წევრები გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ვიშეგრადის ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრების 2017 წლის ერთობლივ განცხადებაში, V4-ის ქვეყნები 2017 წლის ბრიუსელის სამიტზე ევროკავშირს პარტნიორი ქვეყნების განსხვავებული მისწრაფებების ასახვისა და დაინტერესებული ქვეყნებისათვის “ევროპული პერსპექტივის” შეთავაზებისკენ მოუწოდებდნენ.¹⁹

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი და ევროკავშირის რეგიონული მიდგომა

2009 წლის 19 მარტს, ევროპული საბჭოს სხდომაზე ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ 6 ქვეყანასთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ახალი ფორმატი „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ (Eastern Partnership - EaP) შეიქმნა, რომელსაც საფუძვლად 2008 წელს შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივა დაედო.²⁰ აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზანს პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების, სტაბილურობის და კეთილდღეობის მხარდაჭერა წარმოადგენს და შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა:

¹⁶ Negotiations of the EU-Georgia Association Agreement, European Parliament Resolution, 2011. ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&language=EN&reference=P7-TA-2011-0514>

¹⁷ Eastern Partnership countries and in particular destabilisation of eastern Ukraine, European Parliament Resolution, 2014. ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2014-0457+0+DOC+XML+V0//EN>

¹⁸ Association Agreements/Deep and Comprehensive Free Trade Areas with Georgia, Moldova and Ukraine, European Parliament Resolution, 2016. ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P8-TA-2016-0018&language=EN&ring=P8-RC-2016-0068> (მოძიებულია: 11.11.2017)

¹⁹ Joint Statement on the Eastern Partnership of the Foreign Ministers of the Visegrad Group, 2017. ხელმისაწვდომია: <http://www.ms.gov.pl/resource/ac5ad3be-60ef-44bb-9f21-3b44bc5c451a:JCR> (მოძიებულია: 11.11.2017)

²⁰ Eastern Partnership, European Union External Action, ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/419/eastern-partnership_en (მოძიებულია 25.11.2017)

ორმხრივი ანგარიშვალდებულება - ევროკავშირის მხარდაჭერა ეფუძნება პარტნიორი ქვეყნების მიერ ევროკავშირის ღირებულებების, დემოკრატიის კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და ა.შ. პატივისცემას;

დადებითი პირობითობა - ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს, მათ მიერ ცალკეულ სფეროებში განხორციელებული რეფორმების პროგრესზე დაყრდნობით წამახალისებელ მექანიზმებს სთავაზობს;

ერთობლივი მფლობელობა - პარტნიორი ქვეყნების საჭიროებების უკეთ გათვალისწინების და ასევე, რეფორმების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, ევროკავშირი ამ ქვეყნების მიერ განსახორციელებელი რეფორმების პაკეტს ერთობლივად შეიმუშავებს;

დიფერენცირება - ევროკავშირი პარტნიორ ქვეყანასთან ურთიერთობას ავითარებს ამ ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციისა და ამ მიზნით განსახორციელებელი რეფორმების შესრულების შესაბამისად.²¹

აღმოსავლეთ პარტნიორობას გააჩნია როგორც რეგიონული, ასევე ორმხრივი მიდგომები. ის საშუალებას იძლევა, თითოეულმა ქვეყანამ, თავისი მისწრაფებებისა და მიზნების შესაბამისად იმოქმედოს, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ბოლო, ბრიუსელის 2017 წლის სამიტზე.²² თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მრავალმხრივი თანამშრომლობა არ იძლევა იმაზე მეტის საშუალებას, ვიდრე მას დღეს აქვს, ხოლო ორმხრივი ურთიერთობების ფორმატი ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური ასოცირების საშუალებას წარმოადგენს.²³ აღმოსავლეთ პარტნიორობა არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.²⁴ აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის არცერთი დოკუმენტი აღმოსავლეთ პარტნიორობას გაწევრიანების ინსტრუმენტად არ მოიხსენიებს, თუმცა, მისი ორმხრივი

²¹ ევროკავშირი და საქართველო, საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (GISS), 2016, ხელმისაწვდომია: https://issuu.com/gissinstitute/docs/giss_georgian/34 (მოძიებულია 25.12.2017)

²² Eastern Partnership Summit - Joint declaration, 2017 ხელმისაწვდომია: <http://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2017/11/24/eastern-partnership-summit-joint-declaration/> (მოძიებულია 25.11.2017)

²³ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები (პოლიტიკის დოკუმენტი), კახაბერ გოგოლაშვილი, 2017 ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2501.pdf> (მოძიებულია 25.11.2017)

²⁴ აღმოსავლეთ პარტნიორობა, ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/419/eastern-partnership_en (მოძიებულია 25.11.2017)

ურთიერთობების ფორმატი ევროკავშირთან ფუნქციური ინტეგრაციის შესაძლებლობებს იძლევა.²⁵

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობაც, გარკვეულწილად, რეგიონული მიდგომის გამოვლინებაა, მისი ორმხრივი ურთიერთობების ფორმატი საშუალებას იძლევა, ქვეყანამ საკუთარი მისწრაფებების რეალიზება (თუმცა, არა წევრობა) თავისი ამბიციისა და პროგრესის შესაბამისად მოახდინოს. დიფერენცირების პრინციპიდან გამომდინარე, ცალკეულ ქვეყანას შეუძლია რეგიონის სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად, ევროკავშირთან ინდივიდუალური დღის წესრიგით იმუშაოს და ორმხრივი ურთიერთობები განავითაროს.

უკრაინის ევროპული გზა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკრაინის ურთიერთობები ევროკავშირთან საკმაოდ მრავალფეროვანი და წინააღმდეგობებით სავსე გამოდგა, თუმცა ქვეყნის გაცხადებული მიზანი თავიდანვე იყო ევროკავშირის წევრობა. 1993 წლის 2 ივლისს უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო დოკუმენტი „უკრაინის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“²⁶ შესახებ, სადაც ხაზგასმულია რომ უკრაინის გრძელვადიანი მიზანი, ევროკავშირის წევრობაა. როგორც დოკუმენტშია მითითებული, ქვეყნისთვის ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმების შემდეგ, მისი იმპლემენტაცია წევრობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.²⁷

1992 წელს, ევროკავშირის მიერ უკრაინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ოფიციალურად ცნობის შემდეგ, უკრაინისა და ევროკავშირის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს 1994 წლის 14 ივნისს გაფორმებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება წარმოადგენს.²⁸ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება მოიცავდა თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ენერგეტიკა, ვაჭრობა, კანონმდებლობის დაახლოების საკითხები, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი და ა. შ.²⁹ 1998

²⁵ კახაბერ გოგოლაშვილი, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები, თბილისი, 2017 ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/JVpmkU> (მოძიებულია: 20.11.2017)

²⁶ უკრაინის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებები, უკრაინის უმაღლესი რადა, 1993, ხელმისაწვდომია: <http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/3360-12> (მოძიებულია 15.11.2017)

²⁷ Ukraine-EU Relations, Mission of Ukraine to the European Union, ხელმისაწვდომია: <http://ukraine.eu.mfa.gov.ua/en/ukraine-eu/relations> (მოძიებულია 15.11.2017)

²⁸ Partnership and Cooperation Agreement between the European Communities and their Member States, and Ukraine, ხელმისაწვდომია: <http://ec.europa.eu/world/agreements/prepareCreateTreatiesWorkspace/treatiesGeneralData.do?stp=0&redirect=true&treatyId=217> (მოძიებულია 15.11.2017)

²⁹ Partnership and Cooperation Agreement between the European Communities and their Member States, and Ukraine, ხელმისაწვდომია: http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2003/october/tradoc_111612.pdf (მოძიებულია 15.11.2017)

წლის ივნისში გამოქვეყნდა პრეზიდენტის კუჩმას ბრძანება, რომლის ძირითად მიზანს უკრაინის ევროკავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საკანონმდებლო სივრცესთან დაახლოება წარმოადგენდა და სადაც უკრაინის აღმასრულებელი ხელისუფლების ევროკავშირთან ურთიერთობის მთავარი პორიორიტეტები იყო ასახული 2007 წლამდე.³⁰ უკრაინა-ევროკავშირის ურთიერთობების დაახლოების კიდევ ერთ ეტაპს სამოქმედო გეგმა წარმოადგენს, რომელიც 2005 წელს მიიღეს თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრაზე.³¹ აღნიშნულმა დოკუმენტმა გააფართოვა ორმხრივ ურთიერთობები და პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოება ახალ დონეზე გადაიყვანა.

2008 წლის სექტემბერში, პარიზის სამიტზე უკრაინამ და ევროკავშირმა მიაღწიეს შეთანხმებას მომავალში ასოცირების შეთანხმების გაფორმების შესახებ, რომელიც პოლიტიკური ასოციაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა. ევროკავშირისა და უკრაინის მე-15 სამიტზე, 2011 წელს, გამოცხადდა ასოცირების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დასრულება³² და საბოლოოდ, ასოცირების შეთანხმებას ხელი 2014 წელს მოეწერა, რომელსაც უკრაინაში 2013-2014 წლების „ევრომაიდნის“ ტრაგიკული მოვლენები³³ უძღვოდა წინ. 2017 წლის პირველ სექტემბერს, უკრაინასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ძალაში სრულად შევიდა³⁴. 2017 წლის 11 ივნისიდან კი უკრაინის მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლა მოქმედებს.³⁵

უკრაინასთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდასაჭერად, ევროკომისიამ 2014 წელს „ევროკავშირის მხარდაჭერის ჯგუფი“ შექმნა. მხარდაჭერის ჯგუფი უზრუნველყოფს, ევროკომისიის დახმარება - კონსულტაცია, ექსპერტიზა და ფინანსური დახმარება - მიმართული იყოს ასოცირების დღის წესრიგის შესრულებაზე. ის ასევე, ეხმარება უკრაინას სხვადასხვა დონორებთან და საერთაშორისო საფინანსო

³⁰ DECREE BY THE PRESIDENT OF UKRAINE on Approval of the Strategy of Ukraine's Integration to the European Union, 1998. ხელმისაწვდომია: http://www.sdfm.gov.ua/content/file/site_docs/2007/16.05.06/decreet.htm (მოძიებულია 15.11.2017)

³¹ EU-Ukraine Action Plan, 2005. ხელმისაწვდომია: <http://library.euneighbours.eu/content/eu-ukraine-action-plan-0> (მოძიებულია 12.11.2017)


³² Ukraine-EU Summit Joint Statement, ხელმისაწვდომია: http://europa.eu/rapid/press-release_PRES-11-513_en.htm (მოძიებულია 12.11.2017)

³³ Ukraine's revolution of dignity: The dynamics of Euromaidan, Yuriy Shveda· Joung HoPark, 2016, ხელმისაწვდომია: <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1879366515000305> (მოძიებულია 10.11.2017)

³⁴ European Commission Press Release, EU-Ukraine Association Agreement fully enters into force Brussels, 1 September 2017, ხელმისაწვდომია: http://europa.eu/rapid/press-release_IP-17-3045_en.htm (მოძიებულია 10.11.2017)

³⁵ Visa liberalisation with Moldova, Ukraine and Georgia ხელმისაწვდომია https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/international-affairs/eastern-partnership/visa-liberalisation-moldova-ukraine-and-georgia_en (მოძიებულია 10.11.2017)

ინსტიტუტებთან კოორდინაციის საკითხებში.³⁶ ევროკავშირის სამუშაო ჯგუფი პრაქტიკული საშუალებაა ადგილზე ევროკავშირის მეტი ჩართულობისათვის და აღსანიშნავია, რომ ბალტიის ასამბლეა რეკომენდაციას აძლევს საქართველოს და მოლდოვას, რომ მათაც მიმართონ ამ პრაქტიკას.³⁷



რაც შეეხება თავად ასოცირების დღის წესრიგს, მისი შემუშავება 2008 წლის სექტემბერში პარიზში ევროკავშირის სამიტის ფარგლებში გადაწყდა და 2009 წელს მისი დამტკიცების შემდეგ შევიდა ძალაში. მის მიზანს ასოცირების შეთანხმების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. დღეს ძალაში 2015 წლის 16 მარტს უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების საბჭოს მიერ დამტკიცებული დღის წესრიგია.³⁸

უკრაინის პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპული ინტეგრაცია, საბოლოოდ, ქვეყანას ევროკავშირის წევრობამდე მიიყვანს. გარკვეული მითითებებიც არის თარიღთან დაკავშირებით. მაგალითად, პრეზიდენტ პოროშენკოს განცხადებით, უკრაინა წევრობაზე განაცხადს 2020 წლისათვის შეიტანს.³⁹ მდგრადი განვითარების სტრატეგიაში „უკრაინა 2020“ კი, რომელიც 2015 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით შევიდა ძალაში, განსაზღვრულია ის კონკრეტული მიზნები, სამოქმედო გეგმა, პრიორიტეტები და

³⁶ Support Group for Ukraine, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/ukraine/sgua_en (მოძიებულია 15.11.2017)

³⁷ RESOLUTION of the 36th Session of the Baltic Assembly ხელმისაწვდომია: http://www.baltasam.org/images/2017/Session_36/Resol_en-002.pdf (მოძიებულია 15.11.2017)

³⁸ Ukraine-EU Relations, Mission of Ukraine to the European Union, ხელმისაწვდომია: <http://ukraine-eu.mfa.gov.ua/en/ukraine-eu/relations> (მოძიებულია 15.11.2017)

³⁹ Poroshenko: Ukraine to Apply to Join EU in 2020 ხელმისაწვდომია: <https://www.voanews.com/a/porshenko-ukraine-to-apply-for-eu-membership-in-2020/2461837.html> (მოძიებულია 13.11.2017)

ინდიკატორები, რომელიც ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკური, ინსტიტუციური და სამართლებრივი სექტორების განვითარებისთვისაა საჭირო.⁴⁰ მიუხედავად ამისა, ექსპერტები, მათ შორის უკრაინაში, აღნიშნავენ, რომ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება არც თუ ახლო პერსპექტივაა.⁴¹ ამ იდეას არც ევროპული სახელმწიფოები განიხილავენ დიდი ენთუზიაზმით. ცხადია, რომ ჯერ-ჯერობით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უკრაინის ევროპულ პერსპექტივასთან დაკავშირებით მკაფიო და ნათლად გამოხატული დადებითი განწყობები არ აქვთ.⁴²

2017 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ბრიუსელის სამიტის შედეგები უკრაინაში შეფასდა როგორც „ახალი ძველი სტრატეგია“⁴³, რომელსაც, მიუხედავად მოლოდინებისა, განსაკუთრებული სიახლეები არ შეუთავაზებია უკრაინისათვის. სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, პრეზიდენტმა პოროშენკომ განცხადებაც კი გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინას სჭირდებოდა ახალი საშუალებები და გზები მთავარი მიზნის, ევროკავშირის წევრობის მისაღწევად⁴⁴.

მოლდოვას ევროპული გზა

მოლდოვასა და ევროკავშირის ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაცია 1994 წელს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების (PCA) ხელმოწერით განხორციელდა⁴⁵, და ძალაში 1998 წელს შევიდა.⁴⁶ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA) ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე მოლდოვასა და ევროკავშირის ურთიერთობების მთავარ განმსაზღვრელ ჩარჩოს წარმოადგენდა.

⁴⁰ The Strategy for Sustainable Development “Ukraine 2020”, ხელმსაწვდომია:

http://rjea.ier.ro/sites/rjea.ier.ro/files/articole/RJEA_2017_vol17_no1_art7.pdf (მოძიებულია 13.11.2017)

⁴¹ Питер Дикинсон, Чтобы попытаться стать европейским государством, зеленый свет Брюсселя Украине не нужен (2016) ხელმსაწვდომია: <http://nv.ua/opinion/dikinson/ukraina-mozhet-stat-evropoj-i-bez-es-135796.html> (მოძიებულია 13.11.2017)

⁴² European Integration of Ukraine: Tool for Internal Reform, Source of Problems or Pass Ticket to EU Membership?, Oleh Poshedin, Maryna Chulaievska, ROMANIAN JOURNAL OF EUROPEAN AFFAIRS Vol. 17, No. 1, June 2017, ხელმსაწვდომია: http://rjea.ier.ro/sites/rjea.ier.ro/files/articole/RJEA_2017_vol17_no1_art7.pdf (მოძიებულია 15.11.2017)

⁴³ [WWW.strana.ua](http://www.strana.ua) ხელმსაწვდომია: <https://strana.ua/articles/analysis/107399-itohi-chem-sammit-vostochnoho-partnerstva-zakonchilsja-dlja-ukrainy.html> (მოძიებულია 15.11.2017)

⁴⁴ [WWW.strana.ua](http://www.strana.ua) Просто партнер. Почему евроинтеграция Украины остановилась на саммите "Восточного партнерства" ხელმსაწვდომია: <https://strana.ua/articles/analysis/107399-itohi-chem-sammit-vostochnoho-partnerstva-zakonchilsja-dlja-ukrainy.html> (მოძიებულია 15.11.2017)

⁴⁵ Partnership and Cooperation Agreement, 1994, ხელმსაწვდომია:

http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2007/august/tradoc_135737.pdf (მოძიებულია 13.11.2017)

⁴⁶ The Republic of Moldova and the EU, Delegation of the European Union to the Republic of Moldova

ხელმსაწვდომია: https://eeas.europa.eu/delegations/moldova_en/1538/The%20Republic%20of%20Moldova%20and%20the%20EU (მოძიებულია 13.11.2017)

2004 წლის 1 მაისს, ევროკავშირმა 10 ახალი წევრი ქვეყანა მიიღო⁴⁷. საზღვრების შეცვლასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა უსაფრთხოების სტრატეგიის ახალი ამოცანები, შესაბამისად, ევროკავშირმა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისთვის ახალი სტრატეგია შეიმუშავა.⁴⁸ 2003 წლის მარტში ევროკავშირმა წარმოადგინა დოკუმენტი „გაფართოებული ევროპა – მეზობლობა: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობისათვის. 2004 წლის 14 ივნისს საბჭომ მოიწონა ევროკომისიის მიერ შემუშავებული „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სტრატეგია,⁴⁹ რომლის ძირითად მიზანს სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების სტაბილურობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება წარმოადგენდა.⁵⁰

ევროკომისიამ მოლდოვას შეფასების ანგარიში წარმოადგინა, რომლის შესაბამისად 2005 წელს ევროკავშირისა და მოლდოვას ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა მიიღეს. მასში შემდეგი 3 წლის მანძილზე მოლდოვას ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ქვეყნის ევროინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით კონკრეტული სტრატეგიული მიზნები განისაზღვრა.⁵¹ თუმცა, 2008 წელს სამოქმედო გეგმის შეფასება ცხადყოფს, რომ მისი განხორციელება ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა, რისი მთავარი მიზეზიც, რუსეთის მხრიდან ზეწოლის გარდა, თავად მოლდოვას პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგობა იყო, რომლებიც თავის მხრივ, ქვეყნის დემოკრატიზაციით მიღებული შედეგებისთვის მზად არ აღმოჩნდნენ. იმ რეფორმების განხორციელება, რომელსაც ევროკავშირი ითხოვდა, იქნებოდა ეს კანონის უზენაესობა, პრესის თავისუფლების უზრუნველყოფა თუ სხვ. საზიანო იყო მათი მიზნებისთვის. მართლაც, მმართველი კომუნისტური პარტია, რეალურად ახორციელებდა პოლიტიკას, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგებოდა მოლდოვას ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.⁵²

⁴⁷ The history of the European Union – 2004, ხელმისაწვდომია: https://europa.eu/european-union/about-eu/history/2000-2009/2004_en (მომიებულია 12.11.2017)

⁴⁸ European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations, European Commission, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview_en (მომიებულია 13.11.2017)

⁴⁹ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ლიბერალური აკადემია თბილისი, ხელმისაწვდომია: <http://www.ei-lat.ge/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-gronologia/385-evropis-samezoblo-politika.html?lang=ka-GE> (მომიებულია 13.11.2017)

⁵⁰ European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations, European Commission, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview_en (მომიებულია 13.11.2017)

⁵¹ “EU-Moldova Action Plan,” ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/world/enp/pdf/action_plans/mol_dova_enp_ap_final_en.pdf (მომიებულია 10.11.2017)

⁵² Moldova’s European Perspective Breaking the Integration Deadlock? Károly Benes, TOCKHOLM PAPER, 2010 ხელმისაწვდომია: http://isdp.eu/content/uploads/images/stories/isdp-main-pdf/2010_benes_moldovas-european-perspective.pdf (მომიებულია 10.11.2017)

2009 წელს მოლდოვაში „ალიანსი ევროპული ინტეგრაციისათვის“⁵³ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა; ალიანსს გაცხადებული ჰქონდა მოლდოვას პრო-ევროპული ორიენტაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პოსტ-საბჭოთა მენტალიტეტის და ღირებულებების დათრგუნვა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. კორუფცია და ოლიგარქიული ინტერესები კვლავაც ქვეყნის შიდა პოლიტიკის დამახასიათებელ ფაქტორებს წარმოადგენს.⁵⁴

მოლაპარაკებები მოლდოვასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებით 2010 წელს დაიწყო და საბოლოოდ, ხელი 2014 წელს მოეწერა.⁵⁵ ამასთან, ასოცირების ხელშეკრულების ნაწილი გახდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმებაც.⁵⁶ 2010 წელს დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით,⁵⁷ რომელიც 2014 წელს მოლდოვასათვის უვიზო მიმოსვლის მინიჭებით დასრულდა⁵⁸.

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ვიზა-ლიბერალიზაციის, ევროკავშირისაგან მიღებული მრავალმილიონიანი დახმარებისა (2007-2013 წლებში მოლდოვამ ევროკავშირისგან ერთ სულ მოსახლეზე აღმოსავლეთ სამეზობლოს წევრი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი დახმარება მიიღო⁵⁹) და გაცხადებული ევროპული საგარეო კურსის მიუხედავად, მოლდოვას ევროინტეგრაცია ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემებისა და დაპირისპირების გათვალისწინებით, კვლავ დიდ გამოწვევად რჩება.

2015 წელს მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო, რომლის მიზეზი გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა და კორუფციული სკანდალი, კერძოდ, მოლდოვას ბანკებიდან 1 მლრდ დოლარის „გაქრობა“ გახდა.⁶⁰ აღსანიშნავია, რომ კორუფციულ

⁵³ A Moldovan Alliance for European Integration, The Henry Jackson Society, 2009, ხელმსაწვდომია:

<http://henryjacksonsociety.org/2009/08/14/a-moldovan-alliance-for-european-integration/> (მოძიებულია 10.11.2017)

⁵⁴ Why Moldova's European integration is failing, Hrant Kostanyan, CEPS Commentary, 2016, ხელმსაწვდომია:

<https://www.files.ethz.ch/isn/196230/EU-Moldova%20formatted.pdf> (მოძიებულია 10.11.2017)

⁵⁵ EU-Moldova Association Agreement, 2014, ხელმსაწვდომია: <http://www.3dcftas.eu/documents/key/eu-moldova-association-agreement> (მოძიებულია 10.11.2017)

⁵⁶ Moldova's European Perspective Breaking the Integration Deadlock? Károly Benes, TOCKHOLM PAPER, 2010

ხელმსაწვდომია: http://isdpc.eu/content/uploads/images/stories/isdpc-main-pdf/2010_benes_moldovas-european-perspective.pdf (მოძიებულია 10.11.2017)

⁵⁷ VISA FACILITATION BASELINE STUDY, Leonid Litra, ხელმსაწვდომია: <http://visa-free-europe.eu/wp-content/uploads/2011/06/Moldova-countryraportPASOS.pdf> (მოძიებულია 10.11.2017)

⁵⁸ Moldovans to travel visa-free to the EU, EURACTIV, 2014, ხელმსაწვდომია: <https://www.euractiv.com/section/justice-home-affairs/news/moldovans-to-travel-visa-free-to-the-eu/> (მოძიებულია 10.11.2017)

⁵⁹ Why Moldova's European integration is failing, Hrant Kostanyan, CEPS Commentary, 2016, ხელმსაწვდომია:

<https://www.files.ethz.ch/isn/196230/EU-Moldova%20formatted.pdf> (მოძიებულია 10.11.2017)

⁶⁰ Moldova, Between Protests and "State Capture" Denis Cenușă, 2017, ხელმსაწვდომია:

https://www.researchgate.net/publication/313084625_Moldova_Between_Protests_and_State_Capture (მოძიებულია 10.11.2017)

სქემებში, სწორედ, პრო-ევროპულ მთავრობა დაადანაშაულებს, ამან კი გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ევროსკეპტიკური მოსაზრებების პოპულარიზაციას. მოლდოვას მოსახლეობა ორად არის გაყოფილი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის გასაზღვრისას. რუსეთი, თავის მხრივ, ძალისხმევასა და აქტიურობას არ იმურებს პრო-რუსული განწყობების გასაძლიერებლად. ის ასევე, თავის სასარგებლოდ იყენებს ქვეყნის მრავალეთნიკურობას და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს - მაგალითად, გაგაუზიის არაღიარებული რეფერენდუმის ჩატარება 2014 წელს, რომელიც ძირითადად რუსულ-გაგაუზიურ ენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული და რომელმაც რეფერენდუმში 98.4 პროცენტით მხარი დაუჭირა მოლდოვას ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას.⁶¹ მოლდოვას პრო-რუსული განწყობების გაძლიერების ერთ-ერთ მაჩვენებლად 2016 წელს პრორუსი კანდიდატის იგორ დოდონის არჩევა⁶² შეგვიძლია მივიჩნიოთ. 1996 წლის შემდეგ მოლდოვაში, პირდაპირი წესით პრეზიდენტი პირველად აირჩიეს. ამ დრომდე პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევდა. დოდონმა საკუთარ თავს ერთადერთი პოლიტიკოსი უწოდა „რომელსაც რუსეთი ენდობა“.⁶³

2017 წლის გაზაფხულზე ჩატარებული გამოკითხვაც მოლდოვაში არსებული ქვეყნის განვითარების ორი განსხვავებული მიდგომისა და ორიენტაციის მაჩვენებელია. მოლდოველების 54% ყველაზე სანდო საგარეო ინსტიტუტად ევროკავშირს, ხოლო 44% ევრაზიულ კავშირს მიიჩნევს.⁶⁴ საზოგადოების ასეთი დაყოფა, სადაც მოსახლეობის განწყობები, როგორც ევროკავშირის, ასევე ევრაზიული კავშირის მიმართ, თითქმის თანაბარია, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდ სირთულეებს ქმნის ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე. ამასთან, კორუფციასთან, ეკონომიკური განვითარების დონესთან, მიგრაციასთან, კანონის უზენაესობასთან და ა.შ. არსებული პრობლემები სერიოზულად აფერხებს ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს.

⁶¹ The Gagauz Referendum in Moldova: A Russian Political Weapon?, Dumitru Minzarari Eurasia Daily Monitor Volume: 11 Issue: 23, 2014, ხელმსაწვდომია: <https://jamestown.org/program/the-gagauz-referendum-in-moldova-a-russian-political-weapon/> (მოძიებულია 10.11.2017)

⁶² Igor Dodon wins Moldova presidential election, ALJAZEERA news, 2016 ხელმსაწვდომია: <http://www.aljazeera.com/news/2016/11/igor-dodon-wins-moldova-presidential-election-161114195900115.html> (მოძიებულია 10.11.2017)

⁶³ მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებს პრორუსი კანდიდატი იგებს, ტაბულა, 2014, ხელმსაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/114513-moldovis-saprezidento-archevnebs-prorusi-kandidati-igebs> (მოძიებულია 10.11.2017)

⁶⁴ ANNUAL SURVEY REPORT: REPUBLIC OF MOLDOVA, OPEN Neighbourhood — Communicating for a stronger partnership: connecting with citizens across the Eastern Neighbourhood, 2017, ხელმსაწვდომია: http://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2017-10/EUNEIGHBOURSeast_AnnualSurvey2017report_MOLDOVA.pdf (მოძიებულია 10.11.2017)

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის შედეგები მოლდოვაში საკმაოდ პესიმისტურად იქნა შეფასებული, რაც თავის მხრივ პრო-რუსული ნარატივის ხელშემწყობ ფაქტორად იქნა გამოყენებული. მაგალითად, პრეზიდენტ დოდონის შეფასებით, მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანების შანსი „მომავალი ათწლეულის მანძილზე ფაქტობრივად ნულის ტოლია“⁶⁵. თუმცა, ამასთან, მოლდოვაში დადებით ფაქტორად მიიჩნის დიფერენცირებული მიდგომა, რაც ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს თავად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრონ ევროკავშირთან დაახლოების შემდეგი ნაბიჯები⁶⁶.

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა - თანამშრომლობის ახალი გზების ძიება

აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი 6 ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობის დონე, პროგრესი და მისწრაფებები ერთმანეთისგან განსხვავდება. მათგან სამს ევროკავშირთან თვისობრივად სხვა სახის ურთიერთობა აქვთ. საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ევროკავშირთან ასოცირებული წევრები არიან და უვიზო მიმოსვლით სარგებლობენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები, ფორმალური თვალსაზრისით, ევროკავშირთან ურთიერთობის ერთნაირ დონეზე იმყოფებიან, ამ ურთიერთობების ტემპი და დინამიკა, ისევე, როგორც ქვეყნებს შიგნით არსებული მდგომარეობა, მიუხედავად სერიოზული მსგავსებებისა (რუსული ოკუპაცია და გავლენები, მართლმსაჯულების ხარვეზები, ჩავარდნები დემოკრატიაში და ა.შ.), მაინც განსხვავებულია. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველო, ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის ლიდერადაა მიჩნეული⁶⁷.

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირთან გაღრმავებულმა ურთიერთობამ, რაც ასოცირებისა (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმების გაფორმებასა და ვიზალიბერალიზაციაში, ასევე თავად ამ ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციის გაცხადებულ სურვილში გამოიხატება, ასევე, ხელი შეუწყო სამი ასოცირებული ქვეყნისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქოლგის ქვეშ, განსხვავებული ფორმატის განვითარების საკითხის წინ წამოწევას. 2017 წლის ბრიუსელის

⁶⁵ [www.segodnya.ua](https://www.segodnya.ua/world/wnews/dodon-sdelal-svoy-vyvod-iz-sammita-vostochnogo-partnerstva-pora-v-rossiyu-1093598.html) ხელმისაწვდომია: <https://www.segodnya.ua/world/wnews/dodon-sdelal-svoy-vyvod-iz-sammita-vostochnogo-partnerstva-pora-v-rossiyu-1093598.html> (მომიებულია 10.12.2017)

⁶⁶ [www.newsmaker.md](http://newsmaker.md/rus/novosti/po-bryusselskomu-schetu-pochemu-filip-vyglyadel-pobeditelem-po-itogam-sammita-vost-34845) ხელმისაწვდომია: <http://newsmaker.md/rus/novosti/po-bryusselskomu-schetu-pochemu-filip-vyglyadel-pobeditelem-po-itogam-sammita-vost-34845> (მომიებულია 25.12.2017)

⁶⁷ Georgia is a clear leader among the EaP countries - MEP Clare Moody, The Financial, 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.finchannel.com/world/georgia/68868-georgia-is-a-clear-leader-among-the-eap-countries-mep-clare-moody> (მომიებულია 25.11.2017)

სამიტამდე ევროპარლამენტის რეკომენდაციაში ასოცირებული ქვეყნებისათვის ევროკავშირთან 'EaP+' მოდელის შექმნის მიზანშეწონილობაზე გამახვილდა ყურადღება.⁶⁸ ასევე, ესტონეთში გამართულმა ბალტიის ასამბლეაზე მიღებულმა რეზოლუციამ⁶⁹ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ლიდერებს მოუწოდა, დიფერენცირებული მიდგომების და დიალოგის ახალი ფორმატის განვითარების აუცილებლობა გაეთვალისწინებინათ.⁷⁰ მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ახალი ფორმატი არ ჩამოყალიბებულა, ბრიუსელის სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში აღნიშნა, რომ „...დადგა დრო, რომ AA/DCFTA-ის ხელმძღვრე პარტნიორ ქვეყნებთან გაიმართოს ერთობლივი დისკუსიები ასოცირების შეთანხმების შესაძლებლობების, ასევე მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ ასოცირების შეთანხმებების განხორციელების საქმეში, როგორც ამას თავად პარტნიორები ითხოვენ“.⁷¹ რთული სათქმელია, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს და რა ფორმას მიიღებს ასოცირებული ქვეყნების ევროკავშირთან „ერთობლივი დისკუსიების“ გამართვა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული აღმოსავლეთ პარტნიორობის შემდგომ დიფერენცირებაში შეიძლება აისახოს და სამი ასოცირებული ქვეყნის ეფექტური კოორდინაციის შემთხვევაში, მათი ევროკავშირთან ინტეგრაციის სერიოზული სტიმულის როლი შეასრულოს. ამ მხრივ, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, თუ ამგვარი გაღრმავებული თანამშრომლობა, ერთი მხრივ, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის და მეორე მხრივ, ამ ასოცირებული ქვეყნების ევროკავშირთან, ამ უკანასკნელთან, მაგალითად, სამი ქვეყნის „ეკონომიკური სივრცის“ შექმნაში გამოიხატებოდა. თუმცა, დღეის მდგომარეობით, ამ მიმართულებით რაიმე სერიოზული მოძრაობა არ შეინიშნება.

დღეს, აღმოსავლეთ პარტნიორობა რჩება აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ევროკავშირთან ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჩარჩოდ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო, ბრიუსელის სამიტმა თანაბრად ვერ უპასუხა ყველა ქვეყნის მოლოდინებს, მან მოახერხა შეენარჩუნებინა პარტნიორობა, როგორც მოქმედი ფორმატი და ასოცირებული ქვეყნების ევროპული მისწრაფებების ხაზგასმითა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალი

⁶⁸ European Parliament recommendation of 15 November 2017 to the Council, the Commission and the EEAS on the Eastern Partnership, in the run-up to the November 2017 Summit (2017/2130(INI)), ხელმისაწვდომია:

<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA-2017-0440+0+DOC+XML+V0//EN&language=EN> (მოძიებულია 15.11.2017)

⁶⁹ RESOLUTION of the 36th Session of the Baltic Assembly ხელმისაწვდომია:

http://www.baltasam.org/images/2017/Session_36/Resol_en-002.pdf (მოძიებულია 15.11.2017)

⁷⁰ Heads of State and Government of the Eastern Partnership Summit 2017, ხელმისაწვდომია:

http://www.baltasam.org/images/2017/Letter_Concl_EaP.pdf (მოძიებულია 15.11.2017)

⁷¹ Eastern Partnership Summit - Joint declaration, 2017 ხელმისაწვდომია:

<http://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2017/11/24/eastern-partnership-summit-joint-declaration/> (მოძიებულია 25.11.2017)

მიზნების („აღმოსავლეთ პარტნიორობის 20 მიზანი 2020 წლისათვის“) ჩამოყალიბებით, ერთგვარად ამ ფორმატის გარკვეულ განვითარებასაც შეუწყო ხელი. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ 2017 წლის 4-5 დეკემბერს თბილისში საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიხეილ ჯანელიძემ დიფერენცირების აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მისი განცხადებით, „EaP-ს შეუძლია მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგებს დიფერენცირებული და მიზანზე მორგებული ურთიერთობების გზით, რომელიც პარტნიორობის ამბიციებსა და ინტერესებს დაეყრდნობა. უფრო მეტიც, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დოკუმენტის მოდიფიკაცია შესაძლებელი იქნება, რითაც უფრო ამბიციური მიზნები განისაზღვრება“⁷². როგორც უკვე აღინიშნა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი არ არის ევროკავშირის წევრობის რაიმე ფორმალური ინსტრუმენტი და ამ მხრივ ის შეზღუდულია. დაახლოების ის ფორმატები, რასაც ევროკავშირი ასოცირებულ ქვეყნებს სთავაზობს, დღეს მხოლოდ ფუნქციური ინტეგრაციის შესაძლებლობას იძლევა. ევროკავშირი, არ ჩქარობს რაიმე სახის დაპირების მიცემას ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყნებისათვის გაწევრიანებასთან დაკავშირებით და ხაზს უსვამს რეფორმების აუცილებლობას და მის მნიშვნელობას შემდეგი დაახლოებისათვის⁷³.

ბრიუსელის სამიტზე ასოცირებული ქვეყნებისათვის „ევროპული პერსპექტივის“ არმინიჭებამ ლეგიტიმური კითხვები გააჩინა ასოცირებული ქვეყნების ევროკავშირში წევრობის პერსპექტივასა და ამ მიმართულებით შესაბამისი ნაბიჯების მიების თვალსაზრისით. ამასთან, აქტუალურია კითხვა, უნდა იმოქმედოს თუ არა საქართველომ უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად, თუ დამოუკიდებლად, მათ შორის, ევროპული პერსპექტივის მოპოვების და/ან წევრობაზე განაცხადის გაკეთების თვალსაზრისით?

უკრაინის რეფორმების განხორციელების კუთხით არსებულმა სირთულეებმა ნეგატიური გავლენა იქონია ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავებაზე. მიუხედავად ევროკავშირის მხრიდან ფინანსურ თუ ექსპერტულ დონეზე არსებული დახმარებისა, უკრაინამ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა აღნიშნული მხარდაჭერა ქვეყნის აქტიურ ტრანსფორმაციაში გამოეხატა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმები, ასე თუ ისე ხორციელდება და უკრაინას აქვს AA/DCFTA-ით გაწერილი ვალდებულებები, ამ ეტაპზე იმის ცალსახად თქმა, რომ მათი განხორციელების დინამიკა გაგრძელდება ან კიდევ უფრო

⁷² MFA of Georgia on twitter , ხელმისაწვდომია:

<https://twitter.com/MFAGovge/status/937650904672690176> (მოძიებულია 04.12.2017)

⁷³ Eastern Partnership Summit - Joint declaration, 2017 ხელმისაწვდომია: <http://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2017/11/24/eastern-partnership-summit-joint-declaration/> (მოძიებულია 25.11.2017)

აქტიურ ხასიათს შეიძენს, რთული სათქმელია. ამასთან, რუსეთის მხრიდან განხორციელებული აგრესია და აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი, რასაც ევროკავშირის მხრიდან რუსეთისათვის სანქციების დაწესება მოჰყვა⁷⁴, უკრაინის შიდა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროში არსებულ სირთულეებთან ერთად, ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ანალოგიური სიტუაციაა დღეს მოლდოვაშიც. უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები, კორუფცია, შიდა დაპირისპირებები და არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია და ა.შ. მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის გაღრმავების გზაზე. რაც შეეხება საქართველოს, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების მიუხედავად, საქართველო ევროკავშირის მხრიდან რეგიონში „მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად“ და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის ლიდერად მიიჩნევა⁷⁵.

ევროკავშირის დიდი გაფართოების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ის რეგიონული მიდგომებით ხასიათდებოდა. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ცენტრალური ევროპის ქვეყნები გაწევრიანდნენ ბლოკში⁷⁶, დასავლეთ ბალკანური ქვეყნების სამომავლო გაწევრიანებაც რეგიონული მიდგომის გამოვლინებაა, რაც 2013 წელს ხორვატიის ევროკავშირში შესვლით დაიწყო⁷⁷. საინტერესოა სლოვენის შემთხვევაც. იმის გამო, რომ სლოვენია ბალკანეთისა და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად იყო მზად ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის, ის როგორც ცენტრალური ევროპის ქვეყანა განიხილეს და მისცეს შესაძლებლობა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენ ცხრა ქვეყანასთან ერთად ემოქმედა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ უფრო ლოგიკური იქნებოდა სლოვენის დატოვება დასავლეთ ბალკანეთის რეგიონულ კონტექსტში, რაც ქვეყნის გაწევრიანების საკითხს კიდევ ათი წლით მაინც გადაწევდა, ის სხვა, იმ პერიოდისთვის უფრო დაწინაურებულ რეგიონს მიაკუთვნეს და ამ შემთხვევაშიც, არა ინდივიდუალური, არამედ რეგიონული მიდგომა გამოიყენეს.⁷⁸ „ბალტიის, ბენელუქსის, სკანდინავიის და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილებამ ცხადად აჩვენა, რომ არსებობს ბევრი სფერო, სადაც რეგიონული

⁷⁴ EU sanctions against Russia over Ukraine crisis, ხელმისაწვდომია: https://europa.eu/newsroom/highlights/special-coverage/eu-sanctions-against-russia-over-ukraine-crisis_en (მომიებულია 25.11.2017)

⁷⁵ Georgia is a clear leader among the EaP countries - MEP Clare Moody, The Financial, 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.finchannel.com/world/georgia/68868-georgia-is-a-clear-leader-among-the-eap-countries-mep-clare-moody> (მომიებულია 25.11.2017)

⁷⁶ 40 YEARS OF EU ENLARGEMENTS WHO HAS JOINED THE EU SO FAR? ხელმისაწვდომია: http://www.europarl.europa.eu/external/html/euenlargement/default_en.htm (მომიებულია 25.11.2017)

⁷⁷ The history of the European Union, ხელმისაწვდომია: https://europa.eu/european-union/about-eu/history_en (მომიებულია 25.11.2017)

⁷⁸ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები (პოლიტიკის დოკუმენტი), კახაბერ გოგოლაშვილი, 2017 ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2501.pdf> (მომიებულია 25.11.2017)

გადაწყვეტილებებია საჭირო; უფრო მეტიც, საერთაშორისო ასპარეზზე, საერთო რეგიონული პოზიცია უფრო ძლიერი და დამარწმუნებელია, ვიდრე ინდივიდუალური ძალისხმევა“.⁷⁹

შესაბამისად, ბუნებრივია, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანების, განსაკუთრებით „ევროპული პერსპექტივის“ აღიარების მიმართულებით, სწორედ ამგვარი რეგიონული კონტექსტიდან გამომდინარე ემოქმედათ. თუმცა, რამდენად ქმნის ეს სამი ქვეყანა ზემოთაღნიშნული რეგიონების ტიპის რეგიონს? ბუნებრივია, მიზანშეწონილია, ჩამოყალიბებულიყო მაგალითად, ვიშეგრადის ოთხეულის, ბალტიის ან დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მსგავსი თანამშრომლობის რეგიონი/ფორმატი, რათა ევროკავშირი თითოეული ქვეყნის შესაძლებლობების და ამბიციების გათვალისწინების პარალელურად, რეგიონით დაინტერესებულიყო. თუმცა, აქ ფუნდამენტური კითხვა არა აღნიშნულის მიზანშეწონილობაშია, არამედ იმაში, თუ რამდენად რეალისტური და პრაქტიკული თვალსაზრისით მიღწევადია საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ასეთი ტიპის რეგიონი „შექმნან“? თუ ვიშეგრადის, ბალტიის და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს შორის მკვეთრად გამოხატულ რეგიონთან გვექნება საქმე, ასოცირებული ქვეყნების შემთხვევაში, განსხვავებული სიტუაციაა. უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს არ აქვთ საერთო საზღვარი, არ გააჩნიათ განვითარებული სატრანსპორტო სისტემა, სავაჭრო ურთიერთობები და ევროპული მისწრაფებების მიმართ ერთიანი პოზიციის მიუხედავად, ჯერ-ჯერობით არ არსებობს ის წინაპირობა, რომელიც ამ ქვეყნებს საშუალებას მისცემდა ისეთი კავშირი ჩამოეყალიბებინათ, რომელიც ხელს შეუწყობდა, მაგალითად, თავისუფალი ეკონომიკური სივრცის შექმნას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ქვეყნების შიდა მდგომარეობა და საჭიროებებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება. შესაბამისად, სამივე ქვეყანასთან მიმართებით ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება შეიძლება საკმაოდ რთული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა არც კომინევი და არც კიევი განსაკუთრებული ენთუზიაზმით არ გამოირჩევიან. დიდი ალბათობით, მოსალოდნელი არაა, რომ უკრაინა და მოლდოვა სერიოზული ნაბიჯების გადადგმას აპირებდნენ აღნიშნული მიმართულებით და შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს აქტიურობა საკმარისი არ იქნება.

⁷⁹ RESOLUTION of the 36th Session of the Baltic Assembly ხელმისაწვდომია: http://www.baltasam.org/images/2017/Session_36/Resol_en-002.pdf (მოძიებულია 15.11.2017)

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას საქართველომ? ასოცირებული ქვეყნებიდან არცერთს არ აქვს „ევროპული პერსპექტივა“ და მისი მინიჭება ცალკეული ქვეყნისათვის, თუ ევროკავშირის რეგიონულ მიდგომას გავითვალისწინებთ, ამ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა. ხოლო, ისეთი რეგიონული კავშირებისა და პარტნიორობის დამყარება, რომ ევროკავშირისათვის ეს რეგიონი მიმზიდველი გახდეს, საკმაოდ დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია.

შესაბამისად, შექმნილ სიტუაციაში, საქართველომ, რასაკვირველია უნდა გააგრძელოს აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად და თანამშრომლობის ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენოს. თუმცა, ბუნებრივია და მიზანშეწონილია, რომ საქართველომ გაწევრიანების გზაზე ევროკავშირთან ინდივიდუალურად, საკუთარი ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინებითაც აქტიურად იმოქმედოს. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 30 ნოემბერს, თბილისში გამართულ კონფერენციაზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი: შედეგები და სამომავლო ნაბიჯები“, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიხეილ ჯანელიძემ უკრაინასა და მოლდოვასთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ჩვენ გვაქვს კოორდინაცია და კვლავაც გავაგრძელებთ თანამშრომლობას; თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო მხოლოდ ამ ქვეყნებთან ბმაში წარმოიდგენს ევროკავშირში ინტეგრაციას. თუ იქნება რაიმე ხელისშემშლელი იმ მიზნის მისაღწევად, რასაც ევროკავშირში გაწევრიანება ჰქვია, ჩვენ ინდივიდუალურად ვიმოქმედებთ“.

ამ თვალსაზრისით, ინდივიდუალურად ეფექტური მოქმედების ერთ-ერთი სწორი გამოვლინება ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკის შემუშავება და მასში დასახული ამოცანების განხორციელება შეიძლება გახდეს. საგზაო რუკა საკმაოდ კომპლექსური სტრატეგია იქნება, რომლის შემუშავების მზადყოფნა უკვე გამოთქვა საქართველოს მთავრობამ;⁸⁰ მიმდინარე წლის 3-4 თებერვალს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე, საგარეო საქმეთა მინისტრმა წარმოადგინა შემდეგი ძირითადი (და არ მხოლოდ) მიმართულებები, რომელიც საგზაო რუკამ შეიძლება მოიცვას:

⁸⁰ გიორგი კვირიკაშვილი - ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით ვიწყებთ ახალი დღის წესრიგით მოქმედებას, ინტერპრესნიუსი, 2017
ხელმისაწვდომია: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/470881-giorgi-kvirikashvili-evroatlantikuri-integraciis-mimarthulebith-vitsyebth-akhali-dghis-tseshrigith-moqmedebas.html?ar=A> (მოძიებულია 25.12.2017)

1. ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება AA-ს და DCFTA-ს ეფექტური იმპლემენტაციის გზით;
2. ევროკავშირის სტანდარტების დასანერგად საქართველოს 6-პუნქტიანი გეგმა⁸¹;
3. აღმოსავლეთ პარტნიორობის 20 მიზანი 2020 წლისათვის⁸²;
4. კითხვართან დაკავშირებით გამოცდილების შესწავლა და საქართველოსთან მისადაგებული კითხვარის შექმნა.
5. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლის პროცესი, მათ შორის დასავლეთ ბალკანეთის და ევროკავშირის კანდიდატის ქვეყნების ევროკავშირის კანონმდებლობის მიღების ყოველწლიური ეროვნული პროგრამის შესწავლის გზით.

დასკვნა

საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ქვეყნებია. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, არც აღმოსავლეთ პარტნიორობა და არც ასოცირების შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზედმიწევნით შესრულებით ქვეყნები მნიშვნელოვნად დაუახლოვდებიან ევროპულ სტანდარტებს, (მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, AA-სა და DCFTA-ს შესრულებით საქართველო *acquis communautaire*-ს 70 %-ს დააკმაყოფილებს⁸³) გაწევრიანების პირობას არ იძლევა. ფორმალურად, გაწევრიანების დაპირებას „ევროპული პერსპექტივის“ მინიჭება/აღიარება იძლევა. ასოცირებულ ქვეყნებს არ აქვთ „ევროპული პერსპექტივა“ და მისი აღიარება ამ ქვეყნებისათვის (შესაბამის რეგიონად ვერ ჩამოყალიბების გამო) ან მხოლოდ საქართველოსთვის (ევროკავშირის რეგიონალური მიდგომიდან გამომდინარე), ნაკლებად სავარაუდოა. შესაბამისად, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ვიფიქროთ საქართველოს მიერ დამოუკიდებლად მოქმედების ეფექტურ გზაზე.

ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგის ზედმიწევნით შესრულების ფონზე, დაანონსებული საგზაო რუკა, ევროკავშირთან ინდივიდუალური მუშაობის (საქართველოს გაწევრიანების განაცხადის შეტანისთვის

⁸¹ მიხეილ ჯანელიძე: ევროკავშირის სტანდარტების დასანერგად საქართველოს 6-პუნქტიანი გეგმა აქვს ხელმისაწვდომია: <http://www.epn.ge/?id=42503> (მოძიებულია 25.12.2017)

⁸² EU identifies 20 key deliverables for 2020 for the Eastern Partnership ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/news_corner/news/eu-identifies-20-key-deliverables-2020-eastern-partnership_en (მოძიებულია 25.12.2017)

⁸³ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვახტანგ მახარობლიშვილი დსკუსიაზე „Membership Promise: Is the EU ready to grant Georgia the status of a potential candidate?“ სიტყვით გამოსვლისას, თბილისი, 13 თებერვალი, 2018

მომზადება) კარგ ინსტრუმენტად შეიძლება ვაქციოთ. სწორედ საგზაო რუკაში უნდა განისაზღვროს და დასახელდეს ის ოპტიმალური თარიღი, როცა საქართველომ ევროპის კავშირის საბჭოში გაწევრიანებზე განაცხადი უნდა შეიტანოს. ევროპული პერსპექტივის ახლო მომავალში ვერ მიღების შემთხვევაში (რაც მოსალოდნელია), სწორედ საგზაო რუკა შეიძლება გახდეს ის მთავარი დოკუმენტი და ბერკეტი საქართველოს ხელში, რითაც ის ევროკავშირზე და პარტნიორებზე ერთგვარი პოზიტიური ზეგავლენის განხორციელებას შეძლებს.⁸⁴ ამასთან, საქართველო, როგორც პასუხისმგებლიანი ქვეყანა და პარტნიორი, ზემოაღნიშნული ნაბიჯის (განაცხადის გაკეთება) გადადგმას არსებული სიტუაციის რეალისტურად შეფასების შედეგად შეეცდება: ერთი მხრივ, ის გამოიყენებს თავის უფლებას, გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, მეორე მხრივ, კი, ამას გააკეთებს არა დაუყოვნებლივ, არამედ მას შემდეგ, რაც შესაბამის წინაპირობებს დააკმაყოფილებს.

⁸⁴ თორნიკე ზურაბაშვილი, პაატა გაფრინდაშვილი, საქართველოს გზა ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ, თბილისი, 2017. ხელმისაწვდომია: <http://grass.org.ge/wp-content/uploads/2017/05/Road-Map-to-the-EU-Membership.-16.05.17.pdf> მოძიებულია (მოძიებულია: 11.11.2017)